




„მეისრეა დამნაშავე“



„მეისრეა დამნაშავე“
გიგლიორთქა

მოგესხენებათ, მეისრე რკინის გზის დაბალი კატეგორიის მოსამსახურეა.

ისეც მოგესხენებათ, რომ მას ყველა წამხდარ საქმეში (ყველა დაწესებულების და არა მარტო რკინისგზის) ბრალს სდებენ და პასუხისგებაში აძლევენ.

ვთქვათ მოხდა ასეთი შემთხვევა:
მეისრემ ისარი მარჯვნივ მოაბრუნა, როცა მარცხნივ უნდა მოებრუნებია, ან წინააღმდეგ.

ცხადია, მატარებელი აღმოსავლეთისაკენ მომავალი იყო დასავლეთისაკენ დაიკავებს პირს, ან და „უკეთეს შემთხვევაში“ შეიძლება ღიანდაგს გადაცდეს და „თავი გაიტეხოს“ (ორთქმავალი გაფუჭდეს) ან უარესიც მოუვიდეს (მთლად დაიმსხვრეს).

მგონია თქვენ დამნაშავეს აღარ მოძებნით.
დამნაშავე მეისრე იქნება მას ამ დანაშაულობიდან ვერვინ გაამართლებს (შეიძლება მათი დაცვა ჩვენმა ზოგიერთმა ნაფიცმა ვეჭილებმა იკისრონ) მაგრამ ხვდება ისეთი შემთხვევებიც რკინის გზაზე, როცა მეისრეს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის.

ვთქვათ ღიანდაგი გამოცვლას ან შეკეთებას საქიროებს, ვთქვათ ორთქლმავალი უვარგისია, ან კიდევ და რომელიმე სადგურის უფროსმა დაუდევრობა გამოიჩინა ვთქვათ რკინისგზის სამმართველოში ვინმე შავნებელი ზის. დამეთანხმებით, რომ აქვე მოხსენებულ მიზეზებით

გამოწვეულ „უბედურ შემთხვევებში“ მეისრე „ცალკის“ მართალი უნდა იყოს.

სინამდვილეში კი...
ისეც „მეისრეა დამნაშავე“.

რკინის გზის სამმართველოს აპოატის წმენდას დავესწარი.

რა არ დაინახა და გაიგონა ჩემმა თვალებმა და ყურებმა.

იციოთ, თურმე რა ხალხი „მმართველობდა“ რკინის გზას! ჰმ, ნუ მეკითხებით! ვინ გინდათ აქ არ ყოფილა „მოკალათებული“, დაწყებული მისი ბრწყინვალეებიდან გათავებული „კალექსკი ასესორობამდის“ თქვენ გიკვირთ! როგორ ვითმენდით დღემდის ამ ხალხს.

მე კი ის მაკვირვებს:
როგორ გვიძღვდა დღემდის ეს ხალხი?


ერთ მშვენიერ დღეს მათ ხომ შეეძლოთ ეს ჩვენ რკინის გზა ხელში ჩაეგდოთ?..

ვნახოთ, როგორ იქნება წმენდის შედეგი...

ჩვენ ვფიქრობთ, წმენდის შემდეგ „დამნაშავე მეისრეების“ რიცხვი შემცირდება, თორემ ისინი სხვა ხალხია. როცა ჩვენი „მმართველები“ კურორტებზე დასასვენებლად გაემგზავრებიან, დროს შეურჩევენ, ისარს უკულმა მოაქანებენ და მათ „მატარებელს“ საიქიოსაკენ გააქანებენ.
ნიანზი.

თ ა ვ ი — კ ო მ ბ ო ს ტ ო

რკ. გზის ზოგიერთ მოსამსახურეთა დაუდევრობით ხშირად ფუჭდება ბოსტნეულობა და ხილი.
ვაზეთებიდან.




ღორი: — აღბად ვილაც ძმობილი მყავს იქ აპარატში, რომ ახე მცემს პატივს!



ტარტაროზ მოვლო რკინის გზა ამიერ-კავკასიისა, შემცველი მრავალ სადგურთა და მრავალ შტოთა სიისა, — გადმოიარა ბორჩალო და ველი ყარაიისა, სადაც ჭაობებს მზე ლანძავს წითელი დარაიისა. მრავალ სადგურზე ესედან წარწერას მოჰქრა თვალი: „თავს ვაუფრთხილდით, არა სვით აუდუღარი წყალია“, — მაგრამ კუბებში — მწყურვალმა წყლის სულ ვერ სცნა კვალია, — გარდახტა ჭაობის პირად და მუნდა გუბე დალია!..

ბოლოს მიადგა ნავთლულსა, სად სადგურია დღია, ხად უამრავნი პოეზნი წამის-წამისად ვლიდინან, საი სწირობს კატასტროფები, რანიც წინასა ზრდიდინან, — რამე თუ მრავალი მოხიოეს საქმე ფეხებზე ჰკიოია, დღე ერთი დაჰყო უხალავ არ დაუტევა ზღვარია, მახა საქონლის სადგური და კვლავცა მაიკვარია, ხად ხილს და მალფუტს საქონელს სდის ლობის ნიაღვარია, ჩადგან კერძოსას ჰგზავნიან და „პლოდოვოშს“ კი უარია დაუდევრობამ ასეთმა გულს დასდო ჭმუნვის ვარაყი. ალაშქროს შეხედა ლოთ პოეზს — სცნა სინამდვილის არაკი: ჩარჩო მოაქვთ პარტიობითა დღინო, თუთუნი არაკი! ჩანგალზე ზევირ აავო, — ცხვირი ბევრს უქნა ნანაყი.

დაუშემა ნავთლული და კვლავ ტვილისად გამოსწია, გზად ისრები დაეკეტათ, სადგურს გვიან მოაღწია. გარდამოხტა, გაეშურა, სადაც არის დირექცია. რომ ენახ საჩივლელად პოზდევინი — ჩვენი ძია! აირბინა კიბეები, — დალილობით ძლივსა ქმენდა, წინ შიკრიკი შეეყარა, იატაკს რომ კალთით სწმენდა, რქვა: — ვინა ხარ, სით მოსული, რა საქმე გაქვს ყმაო ჩვენდა? — დირექციის კლუბში ნახავ, სადაც მიდის შტატის წმენდა, ტარტაროზ კლუბად მოიქცა, შევლო ეზო და დირენი, დარბაზად მსხდომნი იხილა ხალხნი დიდნი და მცირენი; — გამწმენდნი მავნეთ ეძებენ — მართ ვითა მონადირენი, გასაწმენდნი კი — წარბშეკვრით სხედან მუნ განაცხვირენი გამოიძახეს ტობუნად „ჭაბუკი ვინმე“ მწყაზარი, ცხვირ ჭარხლოვანი ლოთობით, — ზონი ხმა ჰქონდის საზარი, — ღიპოვანს თითქოს შთაენთქას მთლად დეზერტირის ბაზარი — სცან: ის საჩვენოდ არ ვარგა — კოლხ იყოს, თუნდაც ხაზარი! — შე ვმსახურობდი უანდარმათ, ვარ ჩინოსანი განაო, „ქეშმარიტ რუსთა კავშირმა“ მფარველად ამიყვანაო, შებრძოლთ უტირე ყოფის დღე, ციხეს დავალზე თანაო, — ბოლოს კი ოქტომბრის ქარმა — ტრანსპორტზე მომიყვანაო... აგერ წარმოსდგა მეორე — ბაკენბარდოვან ლოყებით, — გუბერნატორად ნამყოფსა, მენდლები ჰქონდა ოყებით რქვა: ჩემთა ნაქნარ საქმეთა — შე აქ თავიდან მოგყვები: შეფის ერთგული გახლავართ, მებრძოლთ კისრად ვდე თოკები... — „მებოქალად ვიყავი“, ამბობს სხვა — „კილო-ტკბილათა“ — „მე კამერერი“... „მე ღვდილი“... ლაპარაკობენ წყვილად. — პროვოკატორათ ნამყოფი მსჯელობას წყობს ფრთხილათა, მაგრამ მას სცნობენ მუშები ნიღაბს იფარებს ტყვილათა... ტარტაროზ სმენად გარდიქვა — სჰვერეტს მართ თუ საშვერტავია, იმბობს: ამდენმა „ყოფილმა“ სად მოიყარა თავია, განცაკვირება არა ჰხამს, რაც ტრანსპორტს სჭირდეს ავია, რადგან რკინის გზას გულს უკორტნს ბევრი ყვავი და სვავია, რა მდინარესა სათავით მღვრიე დიოდეს წყალია. ბოლოში არვინ მოძებნოს ამმღვრევი მიხეზთა კვალია, ეგრეცა ჩვენი ტრანსპორტის მესვეურების ვალია — ვასწმინდონ მისი სათავე, მავნებელთსთხარონ თვალია!... თქვა და კლუბი მიატოვა — სადგურისკენ მინაშორმა, რომ იხილოს მის ჩანგალი მცხეთამ, გორმა თუ ხაშურმა, ჰავნებლები ამ ხაზებზეც ბლომად ნახოს, როგორც ხურმა, — თუმცა ჰპოვის სხვაი ნაკლი, მოსპოს მისმა სამსახურმა!..



— მუდამ იგვიანებდი მოხვლას და ეხლა კი...
— ცოტა მოითმინე; გამოვიდეს „ტარტაროზის“ სპეციალური რკინის გზის ნომერი და მერე მე ვიცი (ვ. მამაცყვი).

გაუფრთხილდით მშრდებს
შელამდა ოდნავ თუ არა, სადგურს ვეწვიეთ „სპეცები“, იქ სანადირო ბევრია, მსუქან ფულების ტკეცები.

სადგურის ორივე მხარეზე გამწკრივებულან კასები, მათ წინ უღვეველ კუდებათ დგანან ქალები, კაცები.

ჩვენც შეუღვევით ჩვენ საქმეს. ჩამოვფხატეთ ქუდები, რომ უფრო კარგად გავსინჯოთ მსუქან - მსუქანი კუდები.

ვღდავართ, ვფუტფუტებთ, ვითომ-ცლა

გესურს ბილეთები ავილოთ; გულში კი ვფიქრობთ: ხელები ჯიბისკენ როგორ წავილოთ.

ამოვაცალოთ ზოგს ათი, ზოგს ოცი და ზოგს სამოცი. არ დარჩეს აოსინჯად არც ერთი ტანისამოსი.

ხალხი ვავონებს მიაწყდა, ჩვენც თან წავვილო ქარივით, უყვირა მატარებელმა ანით დაღადრულ ხარივით.

აფრინავს მატარებელი ა რევიზორიც არა სჩანს. კბილად მძინარე მგზავრების კავნით, პატრონად, დარაჯად.

ვეკვეთედ შეკრულ ხაბაკებს, გადმოვალავით ნივთები; მატარებელზე უსწრაფეს აგვიმოძრავდა თითები.

აჰა, ბათომიც. რევიზორს ალბათ თუ სძინავს კუბებში, ჩენ კი ნაქურდი ფულები ტკბილად გვიწყვია უბეში.



მისრიალებს რონოდა...
მიგრიალებს ბორბლები...
მატარებლის ბოლოდან
თავს რომ გაუფორდები,—
მისდევს რონოდს რონოდა...

ცხელი მტვერის ბულითა
გაუღენთილა ჰაერი...

საფუტბოლო წულითა,
როგორც იავარელი,
ესუნთქავ მტვერის ბულითა.

გამოვადე ფანჯარა
და შიგ გავეყე თავი მე;

აქაც სივრცის თავარა
პირში მეცა,—ვაი მე!

გამოვხურე ფანჯარა...
სავარძელში ჩავეწვი,

აქაც რომ არ მშორდება,
რა ჯდომავი ნავეში

ვარ, სულ მიმეორდება,
რომ ვეგდო სავარძელში...

შეებულებაც არ უკლის,
რომ მიმაფრენს ექსპრესი...

ცოდვა ჩემი მნახველის
მას, ვინც შეჰქენდა ეს წესი!

ბიუროკრატს რა შევლის?!
სად ხარ, ჩემო მაგიდა,

თავის საწერ-კალმითა,
ამ რონოდით გაგიტან

შეორეში კრძალვითა
და იქ დავდგამ, მაგიდა!

ამ სიტყვზე ბრძანებას
მე გამოვსცემ მეტად მკაცრს,

ნეტა, იჩენს რა ნებას,
რომ გაწვავლებს ასე კაცს?

ვაძლევ სასტიკ ბრძანებას:
შეჰკრას გულა-ნაბადი,

აიშალოს აქიდან!
ეს ხერხი მაქვს ნაცადი,

მოვიშორო თავიდან
სხვისი გულა-ნაბადი!

ჩემს კანცელარიაში
ვინ გამიწევს ურჩობას?

აქ ეს სიტყვის რიაში
იჩენს ამ ტუტუტობას,

ბრაზი მახრჩობს ყიაში!
უღონო ვარ, უღონო,

ვხვივარ კი სავარძელში,
აბა, რა მოვუფუნო,

სიტყვ გავეწვიტო წელში?...

ვაი, რომ ვარ უღონო...
ამ ფიქრებში ჩამთვლიმა...

დამხვევია ბუზები...
მისრიალებს მაშინა,

მიჰჭრიან მთის კუხები,
თითო რომ სჩანს აქლემბა!..

ზოგიც კიდევ—სპილოდა...
ავერ ერთი მე ბუზი,

ცხვირზე სასაცილოდა
დანასკუპ-დანაკუზი,

მიჩანს უკმეზ სპილოდა...
რონოდაში გრილოდა...

სავარძელში ვხვრიანავდი...
ბუზო, სასაცილოდა

სოფლიდან ერთი დღით ამოვიდი ქალაქში.

— მადლობა უფალს და „ტარტაროს“,
ბიუროკრატისადმი აღმოუფხვრიათ ქალაქის
დაწესებულებებში: სულ რაღაც ერთი კვირის
განმავლობაში მომიხერხეს (ნაცნობობით)
ჩემს განცხადებაზე ხელის მოწერა და
ბეჭდის დასმაც (აქ უკვე ნათლიმამა დამეხმარა,
იქვე მსახურობს).

დავაპირე უკან დაბრუნება, რასაკვირველია,
რკინის გზით და ტფილისის რკ. გზის
სადგურის სალონის წინ ჩავდექი რიგში.

— ნუ მაწვევით, თუ შეიძლებოდეს!

— ნუ ნაიჟამაბუტ ტოვებოში!

— კაცო, დეიხი უკან!

— შეიცა ბოზო, გევიკვლიტე!

— დაიცა, შე ჩემანლა!

— ვაჰ! ფეხშიმით რომ ვიყო, ხომ აქვე
მომალაგინებდენ, ისე მაწვევებან ყოველი
მხრიდან!

— კაცო, ნუ მაწვევით, მილიციონერ-რ-რ,
მიშველეთი...
ეს არის მეათასედი იმ მუსაფის, რომელიც
ფრიად მალაქ კილოზე (არსებითად
ყვირობით) სწარმოებდა სადგურში, რიგში
ჩამდგარ მოქალაქეთა შორის.



— ამისანა ქურდობასაც რა ვუთხრა!
მეხუთე სადგური გამოვიარე და ძლივს-
და დაეძინათ ამ ოხრებს!

ჩემს ცხვირს თავს დაჰჭრინავდი
უზარმაზარ სპილოდა!..

და თითქოს არაფერი!
თითქოს შევეჩვიე მე...

წითელ მელნით ნაფერი
კალმით მოვარხიე მე:

„ოი, სიტყვ ამ ფერი!..“
მისრიალებს რონოდა...

მიგრიალებს ბორბლები...
შორეულ მთის ბოლოდან

ცას მოსცვივა დობრბლები,
ვით სდევს რონოდს რონოდა!..

ჭაწირა.

სად არის წესრიგის დამცველი?
არსად. ძებნაც ამაოა,
სულ რაღაც 6-7 საათი ვიდრე რიგში და
ისე გამაუთოვებს, რომ ჩემს თავს ვეღარ
ვცნობდი: მე არსებითად მრგვალ კაცად ვა-

თვლები და რიგში დგომამ უცებ გამაბრტყელა,
როგორც... მუშკოლის ფარგა.

როგორც იქნა, მივადრევე სალონის.
— აბა თუ ემა ხარ, ერთი ბილეთი...

უცებ, მაშინაღუტად დაღვინ ჩემი თმები
(სულ ათიოდე ღერია) ყალბზე: არა თუ
მარტო ფული, თვით ის ჯიბეც კი წაიღოთა,
რომელშიაც იყო ჩემი კაპიტალი... ჩემი ჯი-

ბე, რომელიც მეოთხედი მეტრს შევივითის
და ამდენივე ნარჩის ნაჭრებიდან შესდგებოდა,
სადღაც გამკრალიყო, მთელი თავისი
მოცულობით...

ავყვირდი, დაყვირდი, მაგრამ სად არის
პატრონი?... გამწარებული გავიქციე იმ პა-

ტიოსანი კაცისკენ, რომელსაც ბარგი დაუ-

ტოვე (გადავწყვიტე უკან დაბრუნება)...
სად არის ჩემი ბარგი... ისიც მოეპარათ იმ
პატრონისა ცაცხანა...

შემდეგ აღარაფერი მახსოვს. ალბათ გუ-

ლი წამივიდა.
მხოლოდ მესამე დღეს მივაკითხე რკ. გზის
სადგურს (ფული ვისესხე ნაცნობებში). ისე
რიგე, ისევე ყვირილი, ისევე ის დიალოგები,
ისევე ექვსი საათი რიგში დგომა და გაუთავი-

ბელი ექსკუსანტიები რიგს გარეშე—სალა-

როსთან.
იმ დღეს აღარ გაუტურდავარ არავის. მე
მხოლოდ მოწვე ვიყავი, თუ როგორ მოს-

დიოდა ისტერიკა გულუბრყვილო ჯიბედაქ-

რილ მოქალაქეებს,
ბილეთი ჯიბეში (მოუტყრელ, მარჯვენა
ჯიბეში) ჩავიდი და როგორც იქნა, ბაქანზე
გაველი, იქიდან ვაგონში და შემდეგ მალა

თაროზე მივიგდე მოქანცული.
აღარ მახსოვს, ეს სადგური იყო ხარაგ-

ული, ხაშური, მოლითი თუ ყვირილა. მახ-

სოვს მხოლოდ, რომ ობერმა გამადიდა:
— აბა ბილეთები! თქვენი ბილეთი მოქ-

ალაქე!

მარჯვენა ჯიბეზე გავიღე ხელი, რომ
ბილეთი ამომეღო და დამიმტკიცებინა კონ-

დუქტორისთვის, რომ მე ემოგზაურობო სრუ-

ლიად კანონებზე, სათანადო მობილეთით...

ვაი, ჩემო მარჯვენა ჯიბე! ალბათ ვე-

ღარ გაუძიე მარტობას (მარჯვენა ხომ
უწინ მომაჭრის) და შინც განუტყევე სული...
დავდექი დამტკიცის წინაშე: ჩემთვის ძილის
დროს მარჯვენა ჯიბეც მოეპრათ...

— ვიცი, ვიცი, თქვენსთანებზეც ვინა-

ხავს, უბილეთოთ წამოსულობათ და ჯიბე
განგებ მოგაჭრით, ვითომ ჯიბე ბილეთთანა

მოგპარეს,—უმწვანესი ირონიით მითხრა
ობერმა და უბრძანა გავეზნაყენე სავა ჯეო
იყო.

შემდეგ რა მოხდა ღარც ის მახსოვს. ალ-

ბათ კიდევ დავიზინდე. გონს მხოლოდ მა-

კრატლის ხრაქუნმა მომიყვანა. თვალი გა-

ვანხილ, რომელიღაც სადგურში ვიგდე (ალ-

ბათ გზაში დამტყვევს). ირგვლივ ბნელოდა.
ვიღაც სუბიექტი მომდგომოდა და გულმოდ-

გინეთ მაჭრია და ჩინილ ვაწვითებით სავე
ჯიბეებს.
აქ უკვე გული მომივიდა. ამ ოხრებს ჩემი
ჯიბეების დაჭრა იჯარათ ჰქონდათ აღებუ-

ლი, თუ რა ეშმაკი დაემართათ...
— შე ოჯახეტიანო, რომ ჭრი მაგ ჯი-
ბეებს, ჯერ ნახე, არის შიგ რამე თუ არა...
ალბათ შერცხვა იმ ოხერს: უცებ გაიშა-
რა...
რა დიდი შტატა ყოლია ამ ჩვენს რკინის
გზას ჯიბის მჭრელების, რომ არც ერთ ჯი-
ბეს აღარ შეგარჩენეს! თუ მგზავრობა მოი-

სურვით, ვირჩევთ ჯიბეები სახლში, ვინმე
საიმედოს (ოღონდ არა ყოლს) დაუტოვით...
აღლარა აღლარსან



— ასე არ სჯობია! ესენიც მოსვენებული არიან და — მც!

თანამედროვე ანდაზები

- ◆ ორთქლმავალმა თქვა: კარგი პატრონი რომ მყოლოდა, კიდევ დიდხანს ვიცოცხლებდიო.
- ◆ ლოთი მემანქანე მატარებელსაც დაამტვრევს და თავის თავსაცო.
- ◆ გამცილებელმა უბილეთო მგზავრი დაიჭირა და ობერმა პროცენტები ჩაიღვა ჯიბეშიო.
- ◆ ტფილისიდან ქუთაისში მიმავალმა მგზავრმა აიღეთი მცხეთამდე აიღო, სულერთია, მცხეთის იქით ღარ მომთხოვენო.
- ◆ ხაშურის ბუფეტში მოსადილემ, მეორე დღის ადილის ფულზედაც უნდა აიღოს ხელიო.
- ◆ ისე მტერმა ვერა მავნო, როგორც ნუნუას ყლაპამო.
- ◆ თუ მოლარე გწყალობს, ბილეთისთვის რიგში დგომა არ დაგჭირდებაო.

- ◆ სამმართველოს წმენდაო, რად მითირე დედაო!
- ◆ ერთგული მუშა მალე დაწინაურდება, ზარმაცი კი ძველ თანამდებობასაც დაკარგავსო.
- ◆ სადგურის მორიგემ მატარებელი დაამტვრია და დარაჯს დაბრალო: ეძინაო.
- ◆ მემანქანეც არის და მემანქანეცო.
- ◆ თუ პროტექცია გწყალობს, კავშირის წევრობა არ გინდაო.
- ◆ რა ქნას კარგმა ორთქლმავალმა, თუ პატრონი ცუდიაო.
- ◆ გიგო დათვრა სვირითაო, მიწა მოხნა ცხვირითაო.
- ◆ აგარაკზე წასვლა მას უხარის, ვისაც წყალობს ექიმო.

ილილი საფირჩხილი.

ასანურში გაჩაღებული დღეობა იყო. არ იყო ისეთი ოჯახი, რომ ქეიფი არ ყოფილიყოს, ყოველ მხრიდან ისმოდა „მრავალ ქამიერი“ და სხვა სიმღერა.

რკინის გზის სადგური დილიდანვე დაკალიერდა. ყველა მოსამსახურენი უფროსის გიორგი ბოქლომაძის მეთაურობით აღრევე გაიკრიფენ ასანურში.

სადგურში დარჩა მხოლოდ მარტო ძეგლი, გამოცდილი მესრე, პეტრე, რომელიც ლებულობდა და აგზავნიდა მატარებელს.

საზოგადოთ ცნობილია, რომ რკინის - გზელები კარგი მსმელნი არიან. წნორის - წყალის ბიჭებიც კაი მსმელები იყვენ. ბოქლომაძე, როგორც თამადა, ყველას აცლევინებდა ქიქებს.

— აბა დალიეთ, ბიჭებო, დალიეთ; არ იფიქრონ კახელებმა, რომ იმერლებს ვაჯობეთო! — ხშირ ხშირად ხუმრობდა გიორგი და ამხანაგებს აცლევინებდა დიდრონ სასმისებს.

მოსაღამურდა. ყველა ძალზე მთვრალი იყო. ბოქლომაძემ უკანასკნელად მოითხოვა დიდი ყანწი, წამოღდა და დალია უკანასკნელი სადღეგრძელო.


— ამხანაგებო, ეს უკანასკნელი სადღეგრძელოა და სასმისი უნდა დაიცალოს. ყველანი ვადღეგრძელებთ, დავერჩა უდღეგრძელებელი ჩვენი მასპინძლის ძაღლი, კატა, ხარ - კამეჩი და თავგი. რას ვერჩით საწყალ თავგეს. მასაც ცხოვრება უნდა და მასპინძლის მოსაველში მასაც წილი აქვს. გაუმარჯოთ მათ.

სადღეგრძელომ საერთო ხარხარი გამოიწვია. ყველამ დალია, სუფრიდან წამოიშალენ და სიმღერით სადგურის გზას გაუდგენ.

კარგა შეღამებული იყო, როდესაც სადგურს მიაღწიეს.

— ყმაწვილებო, — როგორც ვხედავ ისე მთვრალეები ხართ, რომ აღარაფრის თავი არ გაქვთ. წადით თქვენ თქვენ სახლებში. დღეს იმდენი საქმე არა გვაქვს. მე როგორც თქვენზე უფრო თბილისელი, წავალ სადგურში; ორი მატარებელი არის მისაღები და ერთიც გასაშვები. მე და ჩემი მეისრე მოვახერხებთ! — მიმართა ბოქლომაძემ ამხანაგებს.

წმენდა რკინის გზაზე



— რა იყო ქალო, გამგი გასწმინდეს და მოხსნეს, თორემ შენ ხომ არა! ამისათვის რა ვაკვივლებს?

— როგორ თუ რა მათირებს! ის იყო ჩემი პროტექტორი!

ამხანაგებმა მადლობა გადაუხადეს ბოქლომაძე შევიდა სადგურში. გამოკითხა ყველაფერი მესრეს, რაკი ყველაფერი რიგზე იყო, მიუჯდა მაგდას. თავით ხელებზე დაეყრდნო და მუსივე შეგარად დაიძინა.

კარგა ხანი ეძინა ბოქლომაძეს. მესრემ ერთი მატარებელი მიიღო და მეორე გაამზადა, გაუღო ნიშან-სვეტი, გაუკეთა ისარი და ელოდა.

ბოქლომაძე ხედავს, რომ მარტომარტოა სადგურში, ყველანი სადღაც წასულან. სადგურს უახლოვდება სამგზავრო მატარებელი, მესრე არსად სჩანს. მატარებელი კი დაკავებულ ხაზში უნდა შევიდეს, და იქ მდგომ შემადგენლობას დაეჯახოს.

მატარებელი მოახლოვდა. კატასტროფა აუცილებელია.

უკვე მოისმა დარაჯების ხმა და საშინელი ხმაური. მატარებელი დაიშხვრა.

ბოქლომაძე ზეზე წამოვარდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მან კაზინეტში შემოსულ მესრეს.


— არაფერი, მატარებელი მივიღე და გაუშვი.

— მაშ ეს სიხმარი ყოფილა; მადლობა დმერთ! — პირვეარი დაიწერა ბოქლომაძემ და ტანტზე მიწვა ისევ დასაძინებლად.

გატარებლის რივილი

„ტარტაროზ“, მომსმინე, დავკარგე ღონე, ძალი! ყველა მე ამეკიდა — კაცი, ბავში და ქალიძლივის და მოვათრევე ფეხებს, ქნეშით ღონდება გული, ჩემთვის არავინ ზრუნავს... ვარ დამწვარ - დაჩაგრული! დისპეტჩერების მომგონს დაექცა სახლი, კარი, რქებში ჩამაბნეს თოკი, გამბაწწეს როგორც ხარი! მე რომ მცხეთაში მივალ, მათ ვყავარ უკვე გორში; ჰგონიანთ, იქ ესადილობ ცივი პურით და „ბორშით“. და დავალ მუდამ ასე ვაი-უით და თრევეთ; ჩემზე ვერ იმოქმედეს კაი სიტყვით და რჩევით! პრი! ში კი ვკითხოლობ: — რიგზეა ყვილაფერი, დიოი ხანია თითქოს გვეცვალა ყველას ფერი: დავალთ სწრაფად და მწყობრად, არსებულ ვანრიგებთან... და ამით პოზდევით გამოდის ჩვენს ჩებით! ნეტავ იცოდეს ზუსტათ რა დღე გვადგება შავი; რამდენმა ამ ტანჯვაში გაიხმო თვისი თავი!?

ს ა ღ გ უ რ ე ბ ე მ



ბათოგი.

ხალაროს წინ რიგში ჩამდგარს დაინახავ მილეთსაო;
„ნაჩალინიკი“ თუ არ გიცნობს ვერ აიღებ ბილეთსაო.

ჩაპვი.

აქ ბუფეტში თუ შეხვედი ბურ - მარილის სურვილითა, ფეხი „გაგინიკინდება“ შიმშილით და წყურვილითა.

მოგულეთი.

— სად. ყოფილხართ, რა გინახავთ?

აქ მორიგე არ გინახავთ? — რესტორანში შეიხედეთ, უსათუოდ მას იქ ნახავთ.

ნატანები.

სოცმეგობრი გაუმართავთ ზეყაყას და კოლოებსა, დარბაზია დაკეტილი, ხალში სძინავთ გოგოებსა.

სუსხა

„გრძელი სიტყვა მოკლე იქმის შაირია ამით კარგი“, ერთ თვეს უნდა რიგში იდგე, რომ გაგზავნო ფუთი ბარგი.

ლანჩუკი.

მაკრინე და მარიკელა ვერ წასულა ბახმაროსა, — მაღარებლებს უხვდებიან, დაეძებენ საქმაროსა.

საჯავახი.

აქ ბაქანი მოგაგონებთ საქათმეს და ვირის ზაგას, ხშირად კრივიც იმართება და გასმის: — დასცხე მაგას!

სამტრედი.

სამტრედიის ბაქანზედა სამჯერ ასი მტრადიაო; რონოდრიდან გადავხედე თვალი დამაბნედიო.

რიონი.

აქ საღვურში ბლომად ნახავთ ნიკოს დროის „გვამებს“, „ნაჩალინიკი“ ჩხაიძეა, ხშირად იღებს ქრთამებს.

სვიჩი.

გადაკრა მემუბრუქემა ნუნუა „ოხერ - ტილი“. თავბრუ დაეხვა, მის თვალწინ ქვეყანამ იწყო ტრიალი. გაფრინდა მატარებელი,

გამოჩნა ზესტაფონია, — და მემუბრუქეს კი თავი ბალავარაში ჰგონია.

წმსტაფონი.

ყვეცილებით ნიკომ მაკოს მოუქარა გიშრის თმანი და საღვურზე „დოლოკინეას“ დაუნინა პაიმანი. „დახვდა“ მაკო მატარებელს, მაკო ნიკოს შეეხეა; პაემანიც გაიჩახა, ჩინებული, „იმე ბეჩა“.

შოკაპანი.

ხიდ გაღმა და ხიდ გამოღმა ბანდალობენ ლოთივითა; დადნა ვული ქიათურის მატარებლის ლოდინითა.

ძირულა.

მეზაერებს ნახავთ უსკამობით იატაკზე მწოლარებსა, ხურდის სიარს „აცოცება“ ამ საღვურის მოლარებსა.

სარაგოული.

წყარო გადმოქუხს მთებიდან ანკარა გულის წამალი... ბაქანზე ფოქსტოტს ცეკვავენ ღორი, ცხვარი და მამალი.

მელუზა.



თეთრი ხანატი



თუ ძმა ხარ მითხარი — სად იშოვე ასეთი მშვენიერი სახალათე ტილი?

— ზეწრიდან შევიკერე, ჩემო კარგო, ზეწრიდან.

— ზეწარი სად იშოვე?

— მატარებელში.

— მოიპარე თუ?

— არა, ვიყიდე.

— ვერაფერი გამიგია!

— ამას რა გაგება უნდა... შენც კარგად იცი, რომ მე, როგორც სპეცს, ხშირად მიხდება მივლინებაში სიარული. შო-და, ყოველთვის „საერთაშორისო მიმოსვლის ვაგონით“ ვმგზავრობ. ვაგონში, ალბად შენ იცი, ლოგინს უშლიან მგზავრებს ღამით და აი ასეთ ტილოს ზეწრებს აფარებენ ლეიბს.

— მერე-და მოიპარე?

— დამაცა, კაცო... ძალიან მომეწონა სახალათეთ, საუცხოვო ტილია. დილით ზეწარი ჩემს ჩემოდანში ჩავდე. (არ დაგავიწყდეს, რომ ორადგილიან კუბეში მარტო მე დავრჩი დილით). კონდუქტორს ვუთხარი: — ყვითელი ხსნარი მქონდა ბოთლში. გახსნის დროს ბოთლი ხელიდან გამივარდა და შენი ზეწარი დასვარა, გააფუჭა. ზეწარი ფან-

ჯარაში გადავადე, რადგან საზარელი სუნი ჰქონდა. რაც ღირს ზეწარი ფულად გადავიხდი.

წავილა კონდუქტორი პრეისკურანტის მოსატანად. ამ ხანავს უთხრა ეს ამბავი. ყური მოვკარი მის ლაპარაკს:

— მესამე კუბეში რომ ვაბერილი სპეცია, წუხელის მას საჯაყი საქმე დამართა: ძილში მას... — და ყურში რაღაც წაუჩურჩულა. ორივემ სიცილი დაიწყო.

— მერე?

— მერე-და ჩვენი ზეწარი სულ დაუსველებია, გაუფუჭებია საღვურ გვაში გადაუგდია.

მივხდი რაც უთხრა ჩემს შესახებ, მაგრამ რა შენადგლებოდა, როცა სახალათე ჩემოდანში მქონდა.

მატარებელში ჩემი „ამბავი“ კონდუქტორმა თურმე ყველას უამბო.

გადავიხადე ზეწრის ფასი. როცა კარიდორში გამოვედი, მგზავრები ერთმანეთს უჯიკებდნენ და დაცინვით ჩემზე უჩვენებდნენ.

შემჩვენა. ჩავჯექი ჩემს კუბეში და ბათომამდე გარედ არ გამოვსულვარ.

აი, ასე მაქვს შეძენილი ეს თეთრი ხალათი. შენც თუ გინდა ასეთი თეთრი ხალათი, იმგზავრე „საერთაშორისო მიმოსვლის ვაგონით“ და შენც ჩემსავით მოიქეცი.

ისეული.

პატარა მოთხრობები

კოვზი ნაცარში

ხელი მოითხოვ

სტალინისის „ეპოპე“ საქონელი მი-
იღო.

ნოქრების სიხარულს საზღვარი არ
ჰქონდა, როცა საკოსტიუმე მატერია
აღმოჩნდა მოტანილ საქონელში.

—რა გინახია, ბიძია? ვინ მოგვცემს
ჩვენ!—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა
ილომ.

—როგორ თუ ვინ მოგვცემს? ჩვენს
ხელში არ არის!? გავინაწილოთ და
თუ რამე დარჩება, შემდეგ მივსცეთ
მომხმარებლებს!—სიტყვა მოსემ.

—კარგია, კარგია!—დაეთანხმენ
ზოგიერთები.

—რომ ინაწილებთ ამ საქონელს,
ფული გაქვთ?—იკითხა კოტემ.

—ჰო, მართლა, ფული უნდა საქო-
ნელს!—მოაგონდათ და ყურები ჩა-
მოკეცარეს.

—კეკის ნატამალი არა გაქვთ—
უცხად წამოიძახა ლეკომ—ფული რა
საჭიროა. ფულით თუ ვიყიდეთ, ეს რა
გამოიხია! საქმე ის არის, უფულოდ
ჩავეკატუოდეთ.

—როგორ? როგორ?—შემოეხვიენ
ლეკოს თავისი ამქრები.

—აი როგორ: მატერია წავიდეთ,
თან სხვა რამე-რუმეც გავაყოლოთ. კა-
რი გავტეხათ და მეორე დღეს დილით
ღანაჯახადოთ, თითქოს ქურდებმა გა-
ტეხეს და გაქურდიეს სავაჭრო.

—კარგია, კარგია!—ერთხმად შე-
სძახის მას.

და მართლაც მეორე დღეს დილით
ოთხივენი მივარდენ აღმასკომში და
ცხვირბარში მუშტების იემით განაც-
ხადეს:

გვიშველეთ, დავიღუბებით,
გატეხეს ჩვენი დუქანი.

სულ შთლად წაიღეს ქურდებმა:
თუ რამე იყო მსუქანი.

(წანკლიანი).

ველარ მოასწორეს ჩაკოსტიუმება. კო
ვზი ნაცარში ჩაუკარდათ და თავი
ამოჭაიეს გამახლოში.

—ცხვირბარს რაღასთვის ვიმტე-
რიოთ ჩვენივე მუშტებით, თუ საქმე
ასე წავიდოდა!—ნაღვლიანად მოსთ-
ქვამენ ისინი.

სოფ. გორდში (ქუთ. ოლქი) ლავ-
რენტი ზერაია გვარიან პატრიარქს კა-
ცად ითვლებოდა.

და სწორედ ამიტომ აირჩიეს ის
გლესკომის თავმჯდომარედ.

ეს ისეთი თანამდებობაა, რომ მაინც
დამაინც შეძლებული და შევანზე ვერ
ელირსება.

სოფელში ხმა გავრდა, რომ ლავ-
რენტი მეგობრობას ეწევა—ფულის
სესხებს პროკინტებში.

—მართალია, ლავრენტი ეს ხმეში?
—შეიკითხნენ მას.

—რავა გეკატრებათ! ფულს მე კი
არა, ჩემი (ჯოლი ასესხებს; მე სადა
შექვს გასასესხებელი ფული; ის კი
არა, რასაც ვშოულობ ჩალს ვაბარებ
... ამდენ!—თავი „იმართლა“ ლავ-
რენტი.

—ყოფილი მიკიტანი რატომ მო-
აწყვეთ სასადილოში?—შეეკითხა მე-
ორე.

ის ჩემი სიძეა... უმუშევრად და-
რჩა კაცი და, ხომ იცით, უმუშევრის
მე კი არა, ბირჟაც კი ეხმარება სამსა-
ხურის შოვნაში!—აქაც თავი იმართ-
ლა ლავრენტი.

სამუშაო მკიმი

ღრმა ძილში იყო სოფელი ლესა-
ჭინათი (ჯორჯია), როცა ადგილობრი-
ვისადადამყოფოს ექიმი ზაქარო ზამბა-
ხიძე საქმოდ შეზარხოშებული დაბ-
რუნდა სახლში ისაძინებლად.

მაგრამ არ ეძინება. ბორჯავს ლო-
გინში და თითქოს ვიღაც ჩასძახის
ყურში:

თუ კი გშია ზაქარია
სხვისი ქალიც ზაქარია.

დგება ექიმი და...
ბეზია ჩალს კარებზე დაუკაკუნა—
კარი გაშიღო.

მაგრამ პასუხად მიიღო:
—ეს არ ვაგივა აქ, არა!—
პირში ჩაღითა დაბრუნდა
სახლში ექიმი ზაქარია.

მეორე დღეს განცხადება შეიტანა
აღმასკომში ბეზია ქალის მოხსნის შე-
სახებ.

აღბად აღმასკომი თვითონ მიხვდებ-
და—რომილია მათში მოსახსნელი.

ლოთი მატარებელი

ზეგლირთქა

მიზარბაცებს კახეთის
ლოთი მატარებელი,
ღვინით ვალეშილია
ყველა მისი მხლებელი,

საკუთარ კუბებში
სხედან კონდუქტორები,
„რუის“ ამბობენ, მღერიან
სმაში თანასწორები,

დამიჯერე, — ტარტაროზ,
არ გეგონოს ქორები,
მობრძანდი და იხილე
ეს მუცელ — ტიკტორები,

რონოდებიც საესეა
არყითა და ღვინითა,
შეჯიბრი აქვთ ქეიფში
გზას იკლებენ ლხინითა,
ვაი შენ თუ ფხინელი,
ვისმეს აენიერები,
მივრალი „პასაჟირებით“
იქვე გაიწირები.

აქ ყველანი ყლუნწავენ,
დიდია თუ პატარა,
შენეთ, სუფრის თამადამ
ჯამი ჩამოატარა.

სადღეგრძელო ვადპკრა
ღარბ სოფელელებსა;
სიტყვა არ დაიშურა
კოლექტივის ქებისა.

და გული კი საფე აქვს
გესლითა და შხამითა;
ვერ ინელვს ახალ დროს,
შვოთავს დღით და ღამითა,

მაგრამ ვერას გახდება
რა გინდ ვასქედეს გულზედა;
მორჩა ვეღარ იხარებს
სხვის ნაშრომ მამულზედა,
და ვეღარც ხმას აღიდგენს
პურ-მარილ თუ ფულზედა...


და ასე მიზარბაცებს
ლოთი მატარებელი,
ყაყანებს და ხმაურობს
ყველა მისი მხლებელი.

იტყვიტ: რას აკეთებენ,
მატარებლის მცველები?
ისინიც აქ მღერიან
მშურათ ნადღეგრძელები,

ან კი რათ არ იმღერენ,
როცა ღვინო უხვია;
მაგრამ შენეთ ორთქლმავალს.
„რეოსებს“ ვადღებია.


აირივ - დაირა
უეცრად აქ ყოველი
და მატარებელი კი
ღვას ბალახის მხოველი
გამალვებით ეძებენ
მგზავნი შემანქანესა,
მაგრამ ისიც სასამელით
სადღაც ვაქანესა.

კახეთის რბ. გზაზე



—რა ამბავია, რომ წარა-მარა აჩერებენ ვაგონს?
—ვიღაც მგზავრს წეხში დავისწყებია სადგურში და მოხატანად წავიდა!

უჩინარი.



ადმინგანში შევიაროთ,
ვინახულებთ მაქაროვსა,
ვერ ივიწყებს ნიკოლოზის
შილა-ფლავს და მაქარონსა.
დაუმშვენა მხარი შეკუროს,
მის მარჯვენა იყო ხელი,
თერგის ოლქი დაარბია,
სისხლით მოარწყო მთა და ველი.
დღეს „არ ახსოვს“ ეს ამბები
და მიაწერს „ბოროტ ენებს“,
მას „რ ახსოვს“, მაგრამ აღბად
კომისია გაუხსენებს



სმროში ფინაპარატის
(...ზორ - ინსტრ... რია
მო... ჯალა... უ ვალი,
არავინა ჰყავს სწორია.
ვემმარით რუსთა კავშირის
წევრი და კონსერვატორი,
ჟანდარმერიის აგენტი,
ჯაშუში, პროვოკატორი.



„დიდი რუსეთი,
მთლიანი და განუყოფელი“ —
აი რას ფიქრობს, რას ოცნებობს
პაემსკინის ქალი
„ბეი ჟიდოვ, არმიან, გრუზინ,
სპასი ჩასიუ,
და მოხიბლე დიდ რუსეთის
წინაშე ვალი“.

ასეთი არის ლოზუნგები
ქალბატონისა,
და არა ერთი
მიმცემი ჰყავს
მას იქ ტონისა.



არუთინოვი ბრძანდება
საფინგანის
მარგალიტი.
თანამშრომლებს
სახეში სცემს
ტარიელის მას აქვს „ვიდი“



სანაკოვი ტიტულით
სტატისტიკოსი ბიჭია,
თუმცა მან სტატისტიკაში
არ იცის „ინჩი-ბინჩია“
ანგარიშები ებნევა,
არეული აქვს დავთარი,
სტატგანის საქმე მითია
ჩაფლავებული, წამხდარი.



ინსტრუქტორი სტატგანისა
ოკოვში — ჭალარა
მის ძირითად „პროფესიას
აღარ იშლის აღარა
„კუბეცია“ პირველ გილდის
და ეწევა ჩარჩობას,
ამ ხელობის დავიწყებას.
არჩევს თავის დახრჩობას.



სტატისტიკოსს სემიონოვს
უყურებენ სიცილითა,
მორთულია ნიკოლოზის
მენდლებით და ჯინჯილითა
ნიკოლოზას შეაბერდა,
მოხიბდა მასთან ვალი,
ჩვენს დროს მიტომ არ სწვალობს და
წარსულისკენ შიამკვს თვალი.



აზრუშანოვი უოფილი
„მებრძოლი“ დაშნაკელია,
ინტრიგის ქსელის გამმემლი.
ვამოქექილი, მელია.
„ბადლოვისტ“ აშორდიასი
ერევანელი ძმობილი
ყალთაბანდობის ოხტატი,
და დ... ათი-ფოთი ცნობილი.



„ფინანსისტი“ ბურინკო
ძველი აფიცერია
დენიკინის ერთგული,
მისთა მტერთა მტერია
დავთარს როცა უყურებს,
თვლემს და თან ეძინება,
ეშანება ძველი დრო
ცრემლები ედინება.

ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი
სპეციალური
კირვალე ავვისტოს-წითელი ღლის
ნომერია



დარაჯი (მატარებლს მემანქანეს):—სადგურში არ შემოხვიდე,—
სადგურის უმფროსი ქათმებს საკენკს უყრის.

ცირეკიემ გაიარა
აპარატის წმენდა.
ვერ დამალა, რომ ის ლურსმანს,
ნათესაეს აძლევდა.

ოცდა ხუთი მალაზის
ის არის ნოჭარი,
მაგრამ მუშკოპის წვერი
დღემდის ის არ არის.

სასადილო ნომერ შვიდში
გამგევა კოსტავა;
მისი საქმე ლოთობაა,
მუდამ ჩხუბი, დავა.

გამგეობას ის არ სცნობს
მალლა მოაქვს ცხვირი,
და ავინებს მუშებს დედას,
თან სძულს კომკავშირი.

ის ბათომში ცხრაას რვაში
მიკიტანი იყო.

მალლაქში გლეხებს უჩივლა,
მიწებს ხელი მიჰყო.

სასადილო ნომერ ორში
ცაგარეიშვლია,

დალალ - სპეკულიანტობაში
კარგათ გამოწვრონილია.
ლორებს, ძროხებს და ხბოებსაც
ყიდულობს და ჰყიდის,
იმის ხელში სასადილო
უკან - უკან მიდის.

ქრელიშვილი პირველ ნომერს
ნოჭრად მოევლინა,
(ბაღდათის „ეპოში“ იყო,
თქვენ არ იცით ვინა?),
მსხვილი კაცი, გაიძვერა
ენა კი აქვს „ტკბილი“
ათას სამას ნაღდ მანეთსა
გაკრა ბასრი კბილი.

ს-ტი.

დ ე კ ე შ ე ბ ი

მწვანე კონცხი. რკ. გზის ადმინისტრაციამ ხუთ-
წლიან გეგმაში შეიტანა ფოსტის ყუთისა და წყლის ბაკის
შექენა.

დუბეში.

ნივთების აღმწევა

კონხარი (ოზურგ. მარა). ტფილისისაკენ გამგზავ-
ვების დროს მირიან მცხილაძეს აიღვენენ ქერივი ქალის
ნივთები, რომლებიც ძლივს ჩამოაშორეს მილიციის დახ-
მარებით.

კოხი.

ლოცვის რეკორდი

ნიგონიტი. 4-წლედის მასწავლებელმა ქალმა სუ-
ლიკო კვახაძემ დაამთავრა ლოცვის ახალი რეკორდი:
ბუღრისა და საღებავების წასმის შემდეგ, სკოლაში ყვე-
ლა გაკვეთილებზე ლოცულობდა და მოწაფეებსაც უქადა-
გებდა ღვთის მსახურებაზე.

ევა.

ნორმალური დღე

ბომი (ქუთ. ოლქი). სამკერვალოს გამგემ დღეს მხო-
ლოდ ექვსი მოწაფე გალანა; მათში ორს ყური აავლიჯა,
ხლოდ დანარჩენებს—კბილები ჩაუმტვრია. (მებრძოლი)

ჩვენი ბიუროკრატი

სამბრედი. კომუჯრედის, კომკავშირის, საწარ-
მოო კომისიის, ადგილკომის სხდომების და მუშა-მოსამ-
სახურეთა საერთო კრების ოქმი ასეთია:

„ეთხოვოს სამბრედის მოძრაობის დარგის ადმინის-
ტრაციას მეთუნეუქე კაკაურიძის გადმოყვანა წარმოებას-
თან ახლოს“.

ოქმის ასლი მიმართვის სახით გადაუგზავნეს ადმი-
ნისტრაციას, რომელმაც ზედ ასეთი რეზოლიუცია წა-
აწერა:

„ვინაიდან შენობას, რომელშიაც გადმოყვანილ უნდა
იქნეს კაკაურიძე არა აქვს საკვამლე მილი, რის გაკეთება-
საც ესაჭიროება 20-30 მანეთი, ამიტომ უარი ეთქვას“.

აი, ასე ესმით ჩვენს ბიუროკრატებს შრომის ნაყო-
ფიერების აწევა, მომჭირნობა და გეგმიანი მოწაობა.

იუვიანთი მახალთი

სამბრედი. დღეს არ მოიტყუილა ქალთა წრას
ხელმძღვანელმა დ გამოცხადდა წრეში სამეცადინოთ
ოთხი საათის დაგვიანებით. (ეს არაფერია!).

(აქ-რი).



მ უ ს რ უ ზ ი

„ვერ გაუგეს“

კერძო ვაჭარი სადგურის აგენტებისათვის ქრთამის მიცემის საშუალებით ადვილად ახერხებს ვაგონების თავის დროზე მიღებას. ტრამველების მიერ შემდგარმა პროფსაბჭოს ბრიგადამ კი უარი მიიღო სამტრედიის რკ. გზ. ადმინისტრაციისაგან დამზადებული ხილის მიღებაზე.



კოლპერატორი: (სადგურის მოხელეს) ერთი თვეა ვიციდი!.. გაეცით განკარგულება, რომ მივიღო საქონელი! დავმუადვი კაცი; აღარ შემიძლია მეტი ატანა!

სადგურის მოხელე: რას იჩქარი კაცო! არ შეიძლება ასე იჩქარება.


კოლპერატორი: დალბა საქონელი, აღარ ივარგებს

სად. მოხ.: ნელზია კაცო, ტაკ. ჩტო ზა პუბლიკა ასე იჩქარა არ შეიძლება—ნადა უდატ ამხანაგო და! უდატ ნადა! ა ვი უოატ ნე ხატიტე.

კანდიდატი

ამიერ-კავკ. რკინის გზის სამმართველოს ინჟინერი კულიაბკო ფორმალისტია: თავის თანამშრომელს, რომელიც გვერდზე უზის სწერს ოფიციალურ წერილებს.

„კომუნ.“



რიაზანიდან
„გამისტეს“ უწინ,
გაზდა თბილისი სულის კვეთებდა
და უგზო უკვლო
კონვერტთა სრობოლა
აქაც „ისტაჟზე“ შემეფეთება.

ძილის გულა

ამიერ-კავკ. რკ. გზების სამმართველოს სტატისტიკურ განყოფილების თანამშრომელი სანაკოვეი მოთავსებული იყო შავ დაფაზე სისტემატიური დაგვიანების გამო.

გაზეთებიდან.




სანაკოვეი (ზმორებით) ნეტავი გამომავონებია ისეთი მაგნ. ზიური ძალა, რომ როცა მომინდებ რკ. გზის სამმართველოს ყველა საათები უკან დამაწვეინა 4-5 საათით. მაშინ არც შავი დაფა შემაშინებდა და არც აპარატის წმენდა. გაგვიმავდი ფეხებს, და ვიძინებდი და ვიძინებდი არხენად! მააააააა!

ავანსების მოყვარული

ამიერ-კავკ. რკინის გზის სამმართველოს სადირიცივო სანგარიშო ბიუროს გამგეს მუმლაძეს აღმოაჩნდა გაცემული ავანსების დიდი რაოდენობა. რევიზიის დროს გაცემულ ავანსების რიცხვი 50.000 მანეთს უდრიდა.

გაზეთებიდან.



ვერ მუმლაძე მიხეილი,
სპეცთა შორის ბედაური,

სადირიცივო ბიუროსა ხელმძღვანელი, მეთაური. „ჩემისთანა საბმუშაკი განა არის სადმე კიდე? მეორესაც ვერ შეხვდებით“ გინდა მოვლეთ კიდათ კიდე. აღბიუროს საქმეები ჩინილოლად გავარიგე და ათასი ხუთჯერ ათი ავანსებათ დავარიგე.

ქაფვაშია ქველი ცოდვები აქვს ძველი

რკ. გზ. სამმართველოს საშემოსავლო განყოფილების თანამშრომელს ბერძენიშვილს წმენდის დროს წაუყენეს პრალდება, რომ იგი მთვრალი დადის სამსახურში, აუღია ქრთამი და მსახურობდა სისხლის სამ. მილიციაში მენშევიკების დროს.

გაზეთებიდან



საშემოსავლო განყოფილების თანამშრომელი ბერძენიშვილი ლოთი-ფოთია, უყვარს ნუნუა ცივი კახურა, ჩახჩახა, ტვბილი. მენშევიკების მილიციაში იღვწოდა იგი, — ყოფილი გვამი და რა შეამკობს მის ცოდვის ნუსხას თუ არა ქრთამი, თუ არა ქრთამი.



— რა სისულელეს ვიზამდით, ბილეთი რომ გვეყიდა!

ფერიაშვილი.

ადგილი № 5

ჩვენი წარმოდება ჯერ კიდევ არ გადასულა განუწყვეტელ კვირაზე, ამიტომ დასასვენებელი და უქმე დღე ერთად შემხვდა.

— რა უნდა გავაკეთო ტფილისში ორი დღე, ისიც ასეთ სიციხეში? მოდი „მსუბუქ კავალურისადავით“ დავესხმი ცოლს აგარაკზე! — გაფიქრე და ქალაქის სადღურისაკენ გაქსწიე ბილეთის საყიდლად.

— მოგვეციტო სურამის ბილეთი 15 ივლისისათვის, — ვუთხარი მოლარე ქალს, რომელიც ერთი ხელით ბილეთს ყიდდა, მეორეზე კი ერთი მანკაურს ილოკავდა.

— ბილეთი ავიღე (პლასკარტი № 5). ცოლს ნაჩუქარ ცხვირსახოცივით მუბლზე ოჯლი მოვიწმინდე და მივადექი ვაგონს. ამაყად შევედი შიგ, ან კი რა მქონდა თავის მოსაკატუნებელი, მაგრამ როდესაც ჩემს ადგილს მივადექი, სადაც მამალ ინდურით ვილაც იჯდა და ულვაშებზე თავს იქცევდა, წარბები მოვხარე.

— ამხანაგო, თქვენ ჩემი ადგილი დაგიკავებთ!

ბილეთი ამოიღო. დახედეთ. ორივეს ერთი და იგივე ადგილი გვაქვს. ტანზედ ამხედ-დამხედა. ისე დამი-

ბღვირა, რომ მუშტი ზაჭვისის ტურბინით გადამეჭრა თვალებში. სათვალეები ჯიბეში ჩავიდევით.

— ამხანაგო, მე უკანონო შეილი არ გეგონოთ, ადგილი დამიცალე! — გაბედულად ვუთხარი და ჩონის კალთაზე მაგრად გავკარ ხელი. რადგან ძალზე მალლა იყო, ჩემი მუშტი ბარძაყში მოხვდა. ჩვენს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაიმართა, არ ვიცით ვინ ვის დასძლევდა, დამძლია კიდევ ოჯახ დაქცეულმა და ის იყო ცოტა სული მოვითქვი სკამებს ქვეშ, რომ ამ დროს კონდუქტორმა დაიძახა:

— თქვენი ბილეთი!

— აი ამხანაგო, მე ბილეთი ამიღია, ისიც ქალაქის სადღურზე და ეს ყმაწვილი ადგილს არ მითმობს! — კონდუქტორმა სათვალე ცხვირს ქვევით გაისწორა. სათვალეების ზევიდან ბილეთის დახედა, თავი დაიქნია, ულვაშებში არსენა ოძელაშვილივით ჩაიცინა, რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ ამ დროს შემოვიდა ვილაც „ზაკვაიაჟიანი“ ქალი და კონდუქტორს ბილეთი ხელში მიაჩერა. — ჩემი ადგილი № 5.

— ვა, ერთ ადგილზე სამი ბილეთის გაყიდვა ვანა გაგონილა! — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

გაწუხებ, ძმაო ტარტაროზ, აქეთ ჩამოსვლა გჭირია, რადგან აქ ხდება ამბები კაცთაგან გასაკვირია.

აქ, თეოფილე დაგხვდებით, ჩვენი ჭირი და ლხინია, უმცროსთან — მკაცრი, უწყალო, უფროსებთან კი ფინია.

ვაი იმ უნცროსს, რომელსაც იმისი არ ეშინია. (მსურს ყველა ნათლად გაიზმო რაც ერთხელ დაუთინია).

მან კოლწევრების კრებაზედ ასტეხა ჩხუბი, ყვირილი, რევოლვერის ხელი დაავლო ქალებმა მორთეს ტირილი.

ეძგერა უცბათ თომასა, (გარშემო მყოფი აცინეს), გაჰკრეს - გამოჰკრეს ერთმანეთს, ცხვირ-პირში სისხლი აღინეს.

ამათ ჩხუბში და დავაში. კოლწევრნი იჩქლიტებიან. რად არ მოხსნიან ორივეს? ნეტა ვის ერიდებიან?

— ეს არაფერია. ეს ჩვეულებრივი ამბავია სადღურის მოლარეებისათვის!

— იხუმრა კონდუქტორმა. სამს ერთი ადგილი გაქვით, უკეთესია სცეთ პატივი და დაუთმოთ ადგილი! — ასეთი პასუხით დამამუშვიდა მე და ჩემი მოჩხუბარი.

— ეჰ, ლეკვი ძალღისა სწორია ჩონიანი იქნება თუ კაბიანი! — ჩავილაპარაკე ჩემთვის და ასავალთან ავიყუდე არქიმანდრიტის ჯიბით. ხაშურამდი მუხლებში წყალი ჩამიღვა.

გადავჯექი სურამის მატარებელში. იქ კი სულერთია ბილეთებიანი ხარ თუ უბილეთო, ალბად ჯიბეგირების პროტექციამ გასჭრა, რომ სანთიგოს არ ანთებენ.

მატარებელმა მშობიარე ქალივით მიაკივლა სურამს.

— მამიკო, სახე რატომ გაქვს გაკაწრული? — შემომესიენ ბავშვები.

— არაფერია შეილო, სახლში ბალ ლინჯოების მსხვერპლი გავხდი! — თვალზე კი ჩონიანი წერწეტი კაცის ლანდმა გადამიბრანა.

ივანიკა.

გლელს (ნატანები). აქი იყო ამის შესახებ „ტარტაროზის“ № 26-ში.

იზვინიაიუს-ს (ჩაქვი). ჩვენც ბოდიშს ვიხდით, მაგრამ თქვენს წერილს ვერ დავებუტლავთ მისი გამოუსადეგარობის გამო. ასეთი მესტვირულოთ თქვენ ჭკუაზე ვერ მოიყვანთ სოსო მახარაძეს, პირიქით, მისთვის მესტვირული „მისწრება“ იქნება ქეიფის დროს.

ორაგ-უტანგს (ჭიათურა). წერილი ქალაქის ცალ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი. არც ასეთი გრძელი წერილი გამოდგება. პატარა მარილს ბევრ წყალში ნუ გააღინობთ, თორემ წყალს მარილი არ დააინდებ.

ლიკ-ლიკოს (ასკანა). თუ კი:

ვახართობებს ხშირად მართვენ,
სალამოა თუ ალევრა
ზოგმა ქაფიც ააღინა,
ბევრი ზურგიც მოიღვენგრა (ვაილანა),

მაშინ ტარტაროზს რაღა დაჩინია გასაკეთებლად. რომ მანდ ჩამოვიდეს! საქმე თავისთავად მოგვარებულა („მოულოდნელია ერთმანეთი“).

ჩუმ-ჩალა-კაშაშ. ასეთი სიტყვა არ არსებობს. არის სიტყვა „ჩუმ-ჩაირა-კუკუ“. ფსევდონიმში რომ შეკედომას უშვებ, რაღა იქნება წერილი. სწერთ: „სტრახანის ტარანივით ერთმანეთზე მიწყობილად“ ... სწორედ ასეა თქვენი წერილის სტრიქონებიც.

გვაპას (სამტრედია). რკ. გზის სასაღილოს შესახებ უკვე გვქონდა, რომ:

შიგ ძაღლი პირში გეცემა,
და მიაქვს კერძი შენია.
ხარჩოში ხორცი არ არის,
ბორშიში მარტო-და წვენია
ამის შემდეგ არც გასაკვირია, თუ:
ხანტარული საკითხი,
ნეტავი აქ ვინ არია?
საპირფარეშოს ოთხ ოთახს
აქვს მხოლოდ ერთი კარია.

ასე, რომ ასეთ მოვლენებს ვერ უშველის მარტო ყულის აწევა; საჭიროა სხვა ზომები.

მზნაპრს (აქვე). შევდივართ თქვენს მდგომარეობაში და ვათავსებთ თქვენს განცხადება-ლექსს:

როცა გვირავს გამოფშორდი,
ალარ მეცვა ქვეშ საცვალი.
(ჯერეც არ მაქვს გადახდილი
ნახებსები მისი ვალი)
ტანს გამხადა ვიღაც ქურდმა,
თურმე როცა დამეძინა.
თუმც, არ ვიყავ ხასიათზე,
მაგრამ მაინც გამეცინა.

კი გმართებთ სიცილი და სიხარული, რომ საცვალთან ერთად თქვენაც არ მოგობარათ.

მშპს (სოფ. ჯვ. ხიმონეთი, ქუთ. ოლქი) თქვენი ენვი თქვენი წერილის მხოლოდ ერთ ადგილს შეეხო:

გაიკრიჭა ჩვენი მღვდელი
ჭუმბურიძე პარტენიო.
ღვთის ლოცვა და მსახურება
დამეკარგა ამდენიო.
მოუშინჯა კბილი არტელს
და შიგ შექვრა, როგორც მელა.
აწ მას ჰკითხეთ ამ არტელის
მოთლა-ჭამა ნელა-ნელა.

თუ მართლაც სერიოზულად განუზრახავს ასეთი მისთვისაც უნდა გაეისინჯათ კბილები. ეს ჯერ არც ისე გვიანია!

ჩვენი საკუთარი კორესპ. ხვიობილინაზან.

სად. გურჯაანი. ყინულის საკეთებელი მოძრავე ქარხნის შეკეთება დასრულდება შემოდგომის დამლევის, რის შემდეგაც სამთარში ქარხანა შეუდგება ყინულის დამზადებას. (წნორში ყინულის უქონლობას გამო სიცხე 45 გრადუსს აღემატება).

იქილანვე. უცბათ გამოღვიძებულმა მგზავრმა ვაგონზე დაინახა წარწერა: „ტფილისი-გორი“ და იყვირა:—ვაიმე, გორში რა მინდა, გურჯაანში მქონდა საქმეო! მოქალაქეს გული გაუსკდა და სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს, როცა უთხრეს:—ეს გურჯაანია, ვაგონებზე წარწერები აქეთ ყოველთვის ასე არეულაო.

თელავი. სადგურში პირველ ივნისს მოეწყო ადგილობრივ კედლის გაზეთის „მუშის ხმის“ 5 წლის არსებობის აღსანიშნავად საღამო, სადაც ადგილკომას თავმჯდომარე სანიკიძემ ჩამოგლიჯა გაკრული პლაკატები და ლოზუნგები.

წნორის წაალი. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ხანძრის გაჩენისთანავე თავს უშველა და... ხანძარა რამდენიმე დღის შემდეგ თავისთავად ჩაქრა.

რკ. გზის მუშაკის განცხადებები

დაიკარგა რკ. გზ. მუშაკის ასაგებ შენობის პროექტი, რომელზედაც მუშობა დაიწყო 1927 წელში. (პროექტი დაეკარგა მუშაკის დეკანს მოსკოვში ოთხჯერ მივლინების დროს).

მოიპარეს მუშაკის ახლად შეძენილი ავეჯეულობა. (დარჩენილი დამტვრეული ინახება სარდაფში).



მსთხოვთ ნუ შეწუხდებიან ის პირები, რომლებსაც მუშაკის ჰმარაგებს ფული 1926-27 წლებში წაღებულა, ვინაიდან მათი ხელწერილი ფულის მაგიერ კიდევ ინახება სალაროში.

მიიძალა მუშაკის მუშაობისათვის გადადებული ფული, რომლითაც აღმინასტრაციამ შეიძინა მხოლოდ ორი შავი დაფა (პირველი კანდიდატი ალბად თვითონ აღმინასტრაცია იქნება).

ე თვის წინად გაიქცა და ალარ დაბრუნებულა მსუბუქი კავალურია.

თაროვში—ელოდებიან წაღებულ წიგნების დაბრუნებას, მაგრამ ჯერჯერობით არავინ აბრუნებს.

მუშაკელი.





— ვაშენებთო... და ასეთ მშვენიერ
ქიბებ და კლდეებს კი აფეთქებენ და
ანგრევენ!

ლონი